საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №9

2003 წლის 10 იანვარი

ქ. თბილისი

კურორტ ნაბეღლავის სანიტარიული დაცვის ზონების დამტკიცების შესახებ

კურორტ ნაბეღლავის ბუნებრივი სამკურნალო რესურსების თვისებების შენარჩუნების, მათი დაბინძურებისაგან, დაზიანებისა და გამოფიტვისაგან დაცვის, მის ტერიტორიაზე საწარმოთა განვითარებისა და მოსახლეობის განსახლების საკითხთა მოწესრიგების მიზნით:

1. დამტკიცდეს კურორტ ნაბეღლავის სანიტარიული დაცვის ზონებისა და სანიტარიულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა თანდართული გეგმა.

2. საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტმა (ვ. შუბლაძე) ჩოხატაურის რაიონის გამგეობასთან ერთად ხელი შეუწყოს სანიტარიული დაცვის ზონებში დადგენილი რეჟიმის დაცვას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გასცეს რეკომენდაციები და განახორციელოს დასახულ ღონისძიებათა კოორდინაცია.

3. საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრომ და მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტმა (ზ. გეგეჭკორი) ჩოხატაურის რაიონის გამგეობასთან ერთად გაითვალისწინონ სანიტარიული დაცვის ზონებისა და მათი რეჟიმის მოთხოვნები ყველა სახის საპროექტო ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის დამუშავებისას, როგორც ერთ-ერთი გეგმარებითი შემზღუდავი მნიშვნელოვანი პირობა.

4. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ (ა. გამყრელიძე) და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ (ნ. ჩხობაძე), საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტმა (მ. დვალი) ჩოხატაურის რაიონის გამგეობასთან ერთად თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ კურორტ ნაბეღლავის სანიტარიული დაცვის ზონების ფარგლებში გათვალისწინებულ ამკრძალავ და გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელება მითითებული ვადების ჩვენებით.

5. ბრძანებულების შესრულების კონტროლი განახორციელოს საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტმა (ვ. შუბლაძე).

ე. შევარდნაძე

კურორტ ნაბეღლავის სანიტარიული დაცვის ზონებისა და სანიტარიულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გეგმა

სანიტარიულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები იგეგმება I, II და III ზონების ფარგლებში.

ჩამოთვლილი ღონისძიებებიდან ჰიდროგეოლოგიურ, ბალნეოტექნიკურ და ეკოლოგიურ სამუშაოთა შესრულება ეთხოვოს ლიცენზიის მფლობელ ორგანიზაციას, ხოლო სამშენებლო სამუშაოებისა – კურორტ ნაბეღლავის დირექციას და ნაწილობრივ სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

№	ღონისძიებების დასახელება	შემსრულებელი	შესრულების ვადა
1	2	3	4
	სანიტარიული დაცვის პირველი ზონა		
1.	გაიწმინდოს №№44, 46 და 47 ბურღილების ჭაურები.	სს „კაპტაჟბალ-ნეოსერვისი“	2004 წ.
2.	მოეწყოს№№2კ, 44, 45ა, 47, 66ა, 34 და 46 ბურღილებზე სათავეები სრულფასოვანი რეჟიმული	„ --------“	2004 წ.

	დაკვირვებისათვის .		
3.	აშენდეს ახალი საკაპტაჟე ნაგებობები №№2კ, 44, 34 და 46 ბურღილებზე.		
4.	მოეწყოს დამცავი ჭა 45ა დასაკვირვებელ ბურღილებზე.	„ --------“	2004-2005წწ.
5.	შემოიღობოს პროექტში წარმოდგენილ საზღვრებში და კეთილმოეწყოს №№1/29, 2კ, 44, 66ა, 47, 34 და 46 ბურღილების I-ლი სანიტარიული ზონები.	„ --------“	2003წ.
6.	მოხდეს №№2, 43 და 17 ბურღილების ლიკვიდაცია.	„ --------“	2004-2006წწ.
7.	აღიჭურვოს საექსპლუატაციო და დასაკვირვებელი ბურღილების ჰიდრომინერალური მეურნეობა ავტო-მატური მართვის აპარატურით.	„ --------“	2005 წ.
8.	მოეწყოს თანამედროვე ხელსაწყოებით აღჭურვილი ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია.	„ --------“	2004 წ.
9.	მოეწყოს №№ 44, 47 და 66ა ბურღილებთან მისასვლელი გზები.	„ --------“	2005 წ.
10.	წყალდიდობებისგან დასაცავად მოეწყოს №№34, 44, 46 და 66ა ბურღილებთან 250 მეტრის სიგრძის დროებითი გრუნტის ჯებირი.	„ --------“ „ --------“	2005-2006წწ. 2004-2005წწ.
სანიტარიული დაცვის მეორე ზონა			
11.	კურორტზე №№34 და 46 ბურღილების და №1 ბუნებრივი წყაროს მიწისქვეშა წყლების ხარჯზე აშენდეს ახალი წყალსადენი.	შპს „კურორტი ნაბეღლავი“	2005-2006წწ.
12.	მოხდეს ძველად არსებული წყალსადენის სათავე ნაგებობების სრული რეკონსტრუქცია.	„ ----------“	2004-2005წწ.
13.	მოხდეს წყალსადენის სათავეზე მკაცრი რეჟიმის სანიტარიული სარტყლის მოწყობა, მისი ტერიტორიის შემოღობვა და კეთილმოწყობა.	„ ----------“	2006წ.
14.	აღდგეს არსებული წყალსადენის ქსელი, სატუმბე სადგური და სხვ.	„ ----------“	2006წ.
15.	მოხდეს ძველად არსებული კანალიზაციის ქსელის აღდგენა-რეკონსტრუქცია.	„ ----------“	2005-2006წწ.
16.	მოხდეს არსებული კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის აღდგენა-რეკონსტრუქცია.	„ ----------“	2006წ.
17.	გამწმენდ ნაგებობაზე მოეწყოს სანიტარიული სარტყელი.	შპს „კურორტი ნაბეღლავი“	2006წ.
18.	მოხდეს ჩამომსხმელი ქარხნების ტერიტორიების კეთილმოწყობა და რეგულარული გაწმენდა.	შპს „წყალი მარგებელი“	მუდმივად
19.	აშენდეს მდინარე გუბაზეულზე საავტომობილო ხიდი ზონის დასავლეთ ნაწილში, რათა ტრანსპორტით ყველანაირი ტვირთის გადაზიდვა მოხდეს კურორტის გვერდის ავლით.	შპს „კურორტი ნაბეღლავი“ დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად	2005-2006წწ.
20.	განხორციელდეს ღონისძიებები ბალნეოსამკურნალოს სრული აღდგენა-რეკონ-სტრუქციისთვის.	„ ----------“	2004-2006წწ.
21.	მოხდეს ყოფილი პოლიკლინიკის შენობის აღდგენა და მისი გამოყენება საკურორტო მიზნებისათვის.	„ ----------“	2004-2005წწ.
22.	მოხდეს ყოფილი საძილე კორპუსის აღდგენა-რეკონსტრუქცია და ეტაპობრივად მისი გამოყენება საკურორტო საქმიანობისათვის.	შპს „კურორტი ნაბეღლავი“	2003-2010წწ.
23.	კეთილმოეწყოს საკურორტო პარკის ტერიტორია.	„ ----------“	2003-2004წწ.

24.	რეგულარულად დასუფთავდეს კურორტის ტერიტორია.	„ ----------“	მუდმივად
25.	ზონის ტერიტორიაზე განლაგებულ სოფლებში ამოსანიჩბ ტუალეტებში მოეწყოს საიმედო იზოლაცია.	ჩოხატაურის რაიონის გამგეობა, შპს „კურორტი ნაბეღლავი“	2003-2010წწ. მუდმივად
26.	აღინუსხოს მეორე ზონის საზღვრები სამარკო ნიშნების აგებით. ფუნქციონალურ საზღვრებად მიღებულ იქნეს ბუნებრივი მიჯნები (წყალგამყოფი, ხევი, მდინარე),გზები, მუდმივი ბილიკები, ხელოვნურად გაჭრილი ხაზები	სს „კაპტაჟ-ბალნეო სერვისი“	
27.	შენარჩუნებულ იქნეს არსებული ბუნებრივი მდგომარეობა მდ. გუბაზეულისა და მისი შენაკადების ხეობებში, რათა არ დაირღვეს ეკოლოგიური ბალანსი.	„ ----------“	მუდმივად
სანიტარიული დაცვის მესამე ზონა			
28.	შენარჩუნებულ იქნეს არსებული ეკოლოგიური მდგომარეობა გუბაზეულის აუზსა და ხეობაში, რომ არ შეიცვალოს კურორტისაკენ მიმავალი სუფთა ჰაერის ნაკადის მოძრაობა.	სს „კაპტაჟბალ-ნეო სერვისი“	მუდმივად
29.	ზონის ტერიტორიაზე განლაგებული სოფლების ამოსანიჩბ ტუალეტებში მოეწყოს საიმედო იზოლაცია.	„ ----------“	2003-2010წ.წ.
30.	განისაზღვროს ზონები სამარკო ნიშნებით.	„ ----------“	2004წ.